ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

№ ს-10/012028132 82-17

"31." 12. 2020 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი - ისანი, დავით კვაჭანტირაძის ქუჩა №5-ში (საკ. კოდი №01.17.10.002.274) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა შსახებ ბრძანება – №4444542 03.04.2019წ მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №4552098 19.06.2019წ.

ქ. თბილისში, სექტორი - ისანი, დავით კვაჭანტირაძის ქუჩა №5-ში (საკ. კოდი №01.17.10.002.247) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ნაწილობრივ შეცვლილია ფასადების მოპირკეთება. დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილები.

ფასადი "6-1": "4-3" მონაკვეთში კიბის უჯრედის ფასადის კედელზე დამატებით მოწყობილია ღიობები. +0.00 ნიშნულზე ნაწილობრივ გაზრდილია ვიტრაჟების სიმაღლე.

ფასადი "1-6": -5.20 ნიშნულზე ვიტრაჟებისა და კარი-ჟალუზების ნაცვლად მოწყობილი გისოსები, შეცვლილია ღიობების გაბარიტები. "2-5" მონაკვეთში +28.60 ნიშნულზე ლითონის მოაჯირის ნაცვლად მოწყობილია კაპიტალური მოაჯირი.

გეგმების მიხედვით

ორი ლიფტის ნაცვლად მოწყობილია ერთი ლიფტი, შეცვლილი ლიფტის კარის მდებარეობა, ტამბურის კარები არ არის მოწყობილი. -5.20 ნიშნულზე შემცირებულია სართულის სიმაღლე. "ა" ღერძის გარეთ ტერიტორიაზე დამატებით მოწყობილია ღობე.

-5.20 ნიშნულზე: შენობის პერიმეტრზე კედლები გასქელებულია. გაუქმებულია კოლონების ნაწილი. "1" ღერძის გარეთ "გ-ა" მონაკვეთში შეცვლილია კედლების მოწყობა, შემცირებულია ფართი. ნაწილობრივ შეცვლილია კიბის მოწყობა. ჳაუქმებულია სადარბაზოში შესასვლელი კარები, მოწყობილია მცირე პანდუსები.

+0.00 ნიშნულზე: "1" ღერძის გარეთ გაზრდილია პარაპეტის სიმაღლე. "6" ღერძის გარეთ გადახურვის ფილაზე გამწვანება არ არის მოწყობილი. "გ" ღერძის გარეთ შემცირებულია სარინელის სიგანე.

სახურავზე: გაზრდილია კიბის უჯრედისთვის განკუთვნილი ფართის სიმაღლე. კიბის უჯრედის გადახურვაზე დამატებით მოწყობილია პარაპეტი. "ა" ღერძის გარეთ შეცვლილია პარაპეტის მოწყობა. "ბ" ღერძზე შეცვლილია კედლის და კოლონების ურთიერთმდებარეობა. "5" ღერძთან არ არის მოწყობილი მოაჯირი, გაუქმებულია გამწვანება. ჳაუქმებულია კიფტის კაბინა, მის ნაცვლად მოწყობილია ლიფტის სამანქანე. შეცვლილია სახურავზე გასასვლელი კარის მდებარეობა, დამატებით მოწყობილია ღიობი ცხაურით. შემცირებულია საკომუნიკაციო შახტების სიმაღლე.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 თავის, ამავე კოდექსის 83-ე და 177-ე მუხლების, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 62-ე მუხლის, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №28-94 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის "კ" ქვეპუნქტის, მე-3

მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „სი აი ჯი" არვინ ფარაჯის, ქ. თბილისში, სექტორი - ისანი, დავით კვაჭანტირაძის ქუჩა №5-ში (საკ. კოდი №01.17.10.002.247) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი – IV კლასი კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №10/01202813282-17 07.10.2020წ. განცხადება.
№წ-10/01202813282-17 09.10.2020წ. ბრძანება

მუნიციპალური ინსპექციის უფროსი **ლევან ჯღარკავა**